ხელშეკრულება # 172

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

24 აგვისტო 2018 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს. ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ჯიქიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ულტრა" წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია: 1 (ერთი) ერთეული HDMI კაბელის (VENTION VDH-A01-B2000 20M) – **CPV 32421000** შესყიდვა;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **135 (ასოცდათხუთმეტი) ლარი;**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს);

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება ხელშეკრულების დადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე - ქ.თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. #4;

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: ანა მაჭარაძე; (ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი შესყიდვების დარგში)

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – რევაზ გოგეშვილი);

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი რევაზ გოგეშვილი;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9,3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#49 ა **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**შპს „ულტრა“** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 206258182 **მის:** ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ.4 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „თიბისი ბანკი” **ბანკის კოდი:** TBCBGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE41TB7399736020100003

დირექტორი: თ.ჯიქია

დირექტორი: ი.კარბელაშვილი